მოხალისეობა საქართველოში: კვლევის დასკვნები და რეკომენდაციები

2012

ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოში, მოხალისეობასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის დასკვნები და მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები. ანგარიშის მიზანია ხელი შეუწყოს მოხალისეობის საკითხის ფართომასშტაბიან განხილვას და იმ მხარეთა ინფორმირებას, რომელიც მოხალისეობის მობილიზებაშია ჩართული.

აღნიშნული კვლევა ჩატარებული იქნა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის/კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრის (CRRC) მიერ 2011 წლის ზაფხულში, საერთო-ეროვნული კვლევის „მოხალისეობა და სამოქალაქო ჩართულობა“ -ს ფარგლებში, მოხალისეობისადმი საქართველოს მოქალაქეთა დამოკიდებულების შესასწავლად. ქვეყნის მასშტაბით კვლევა ჩატარებული იქნა 2011 წლის 26 ივლისიდან 11 აგვისტომდე პერიოდში, 2509 ინტერვიუს ჩატარების გზით. კვლევა დაფუძნებულია საქართველოში საზოგადოებრივი კაპიტალის საკითხებთან დაკავშირებით, CRRC -ის წინარე ნამუშევარზე.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი დაინტერესებულია გაიგოს თქვენი აზრი წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ და მოსაზრებები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს მოხალისეობის პოპულარიზაცია საქართველოში. გთხოვთ, თქვენი კომენტარები მიაწოდოთ ზაალ ანჯაფარიძეს, ელ-ფოსტაზე: zanjaparidze@epfound.ge

კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშის შინაარსი წარმოადგენს ფონდის მოსაზრებებს და არ ასახავს აუცილებლად SIDA-ს ან შვედეთის მთავრობის ხედვას.

წინასიტყვაობა

ფართოდ აღიარებულია, რომ მოხალისეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს აქტიურ დემოკრატიულ საზოგადოებაში. პასუხისმგებლობისა და სწავლის შესაძლებლობის შეთავაზების ფონზე, ერთობლივი მუშაობითა და მოხალისეობით, მოქალაქეებს შეუძლიათ გადაჭრან საზოგადოებრივი საკითხები, გააძლიერონ ჩართულობის მობილიზება, მიაღწიონ წარმატებას იქ, სადაც რესურსები შეზღუდულია და ხელი შეუწყონ საკუთრების გრძნობის ჩამოყალიბებას. საკუთარ თემებში მოხალისეობით, მოქალაქეებს შეუძლიათ დაძლიონ ქვეყანაში არსებული ზოგიერთი ძირითადი ხარვეზი. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მოხალისეობა ხელს უწყობს ადგილებზე საკუთრებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს დემოკრატიზაციის პროცესს.

სოციალური კაპიტალის შესახებ წინარე კვლევებიდან ჩანს, რომ მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეებში ერთის მხრივ მაღალია „შემაკავშირებელი“ სოციალური კაპიტალის დონე, რომელიც გულისხმობს მჭიდრო კავშირსა და ახლო ურთიერთობებს ოჯახის წევრებსა და მეგობრებს შორის, საკმაოდ დაბალ დონეზეა განვითარებული ისეთი „ურთიერთობითი“ სოციალური კაპიტალი, რომელიც ხელს უწყობს ნდობის გაცილებით ფართო, ისეთი ქსელების ჩამოყალიბებას, როგორიცაა კლუბები ან პროფესიული საზოგადოებები. მიუხედავად სოციალური კაპიტალისა და სამოქალაქო საზოგადოების საკითხებთან დაკავშირებით განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობისა, ჯერ კიდევ ბუნდოვანია, რას ფიქრობენ საქართველოს მოქალაქეები, აქტიური და ჩართული მოქალაქის სტატუსით საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობაზე; მოხალისეობისა და სამოქალაქო ჩართულობის გზით, ძლიერი და ერთიანი საზოგადოების შენებაზე.

წარმოდგენილი ანგარიშის მიზანია შეისწავლოს საქართველოს მოქალაქეების დამოკიდებულება და გამოცდილება მოხალისეობასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენებით, ანგარიში წარმოაჩენს, რომ მაშინ, როდესაც ფორმალიზებული საზოგადოებრივი მოხალისეობა და სამოქალაქო ჩართულობა ჯერ კიდევ დაბალია, საქართველო არის ადგილი, სადაც ალტრუიზმი ნორმას წარმოადგენს. არსებობს მნიშვნელოვანი პოტენციალი ჩართულობის კულტურის დანერგვისათვის, თუმცა ორგანიზაციებმა უნდა შეიმუშაონ მექანიზმები მოხალისეების სისტემატიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

ჩართულობისაკენ მიმავალი ერთი ასეთი გზა შესაძლოა იყოს სოციალური ალტრუიზმის ძლიერი გრძნობა საქართველოს მოქალაქეებში. არსებობს ძლიერი შიდა-ჯგუფური სოლიდარობა - სოციალური კაპიტალის მაკავშირებლები - საქართველოში, მეგობრები, მეზობლები და ნათესავები ერთმანეთს ხშრად ეხმარებიან საკუთარი დროის, შრომისა და ფინანსების ხარჯზე. მონაცემები ცხადყოფენ, რომ ხალხი საქართველოში კომუნიკაბელურია და მეგობრები ხშირად იკრიბებიან ერთად. უმეტესობა ამბობს, რომ ბევრი ადამიანი მიაჩნიათ ახლობლად და ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც მათ უსასყიდლოდ დაეხმარება. უფრო მეტიც, მაშინ, როდესაც რესპოდენტთა დიდი ნაწილი სკეპტიკურად არის განწყობილი უცხო ადამიანებისამი ნდობის მიმართ, კვლევამ ცხადყო, რომ პრაქტიკაში, საქართველოს მოქალაქეები მოხარული არიან დახმარება შესთავაზონ ადამიანებს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, რაც ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენს მოხალისეობის განვითარებისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ კვლევა ასევე გვიჩვენებს, რომ საქართველოში არსებობს საკმაოდ დიდი პატივისცემა სოციალური მეწარმეობისადმი და ადამიანების უმეტესობა პოზიტიურად არის

განწყობილი მათ თემებში არსებული იმ პირების მიმართ, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული და თავიანთ თავზე ლიდერობას იღებენ ადგილებზე არსებული პრობლემების გადაჭრაში.

საქართველოს მოქალაქეები ასევე[1] მზად აღმოჩნდნენ მოხალისეობისა და სამოქალაქო აქტივობაში მონაწილეობისათვის გარკვეულ დონეზე. კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში, რესპოდენტთა უმეტესობა ამბობს, რომ ისინი ხელს მოაწერენ პეტიციებს და ჩაერთვებიან საკითხის განხილვაში, თუმცა მხოლოდ მნიშვნელოვანი უმცირესობა აცხადებს მზადყოფნას, შეასრულოს უფრო აქტიური როლი. მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოს მოქალაქეები გახსნილი არიან სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული მოხალისეობრივი პროგრამებისადმი. მაგ. კვლევის მიხედვით, მოქალაქეთა 32% „ძალიან პოზიტიურად“ არის განწყობილი სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ე.წ. „შაბათობისადმი“. სოციალურ ალტრუიზმთან და პირად მოხალისეობასთან გაერთიანებული, ჩანასახის სტადიაზე არსებული სამოქალაქო მოვალეობის გრძნობა, ქმნის პოტენციალს საქართველოში აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

პირადი სოლიდარობა, საზოგადოებრივი სიფრთხილე

მაშინ, როდესაც ფორმალიზებული მოხალისეობა გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს, საქართველოს მოქალაქეები რეგულარულად ცდილობენ ერთმანეთის დახმარებას: რესპოდენტთა 61%, ბოლო ექვსი თვის მანძილზე დახმარებია მეგობრებს ან მეზობლებს ყოფითი საკითხების მოგვარებაში ან ბავშვის მოვლაში.

მჭიდრო, შიდა ჯგუფურ სოლიდარობაზე რომ აქცენტი გავაკეთოთ, რესპოდენტთა 93%-ი ამბობს, რომ საჭიროების შემთხვევაში მიმართავს ოჯახს, ხოლო 80% მეგობრებს. კითხვაზე, როგორ გადაიხდიან ისინი საავტომობილო ავარიით მიყენებულ ზარალს, 30% ამბობს (ყველაზე გავრცელებული პასუხი), რომ მათი ოჯახი გადაიხდის, ხოლო 21% ამბობს, რომ თანხას ისესხებენ მეგობრის ან ნათესავისაგან. უფრო მეტიც, საქართველოს მოქალაქეები არ თვლიან, რომ ოჯახის დახმარება არის თავს მოხვეული ვალდებულება: რესპოდენტთა 56% არ ეთანხმება (39% სრულად არ ეთანხმება) მოსაზრებას, რომ ოჯახი მათგან ძალიან ბევრს მოითხოვს, ხოლო 16% ეთანხმება ამ მოსაზრებას. ამასთან ერთად, სამსახურის მქონე საქართველოს მოქალაქეებს (39%) არ მიაჩნიათ, რომ ოჯახის მოთხოვნები ხელს უშლის მათ საქმიანობას; სამი მეოთხედი (73%) ამბობს, რომ ოჯახი არასოდეს ერევა მათ საქმიანობაში. აღნიშნული მიუთითებს, რომ თუნდაც შინაურულ დონეზე, საქართველოს მოქალაქეებს აქვთ საკუთარი დროისა და საქმიანობის ხარჯზე მოხალისეობის სურვილი.

ასევე, ოჯახის გარეთ საქართველოს მოქალაქეები ხშირად მოხალისეობრივ საწყისებზე ეხმარებიან ადამიანებს. რესპოდენტთა 55% მიიჩნევს რომ ისინი ეხმარებიან ადამიანებს ოჯახის გარეთ, ხოლო 7%-ს ასე არ მიაჩნია (35%-ს მეტ-ნაკლებად მიაჩნია). საქართველოს მოქალაქეები ასევე დარწმუნებული არიან, რომ თავადაც მიიღებენ დახმარებას სხვა ადამიანებისაგან; 46% ამბობს, რომ არსებობს ბევრი ადამიანი, რომელთაც პრობლემის არსებობის შემთხვევაში შეუძლიათ დაეყრდნონ, ხოლო 13% არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მოქალაქეების მიერ ერთმანთისათვის გაწეული დახმარება, მოსახლეობის უმრავლესობისათვის წმინდა ალტრუიზმად

[1] იხ. ასევე „მოქალაქეთა დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სოციალური აქტივობისადმი“, *2011 წ. საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები* Leslie Hough. აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI)'s G-PAC პროგრამისათვის მომზადებული აღნიშნული ანგარიში, ემყარებოდა CRRC-ის იმავე კვლევას და აქცენტი კეთდებოდა სოციალურ ჩართულობაზე. http://www.ewmi-gpac.org/index.php?count=4&v=236 (მოძიებულია, აპრილი 2012).

აღიქმება და არა „რაიმე ტვირთად“: 41% არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ადამიანები ერთმანეთს რაიმე სარგებლის მიღების გამო ეხმარებიან, ხოლო 22% სწორედ ამგვარად ფიქრობს.

პირად ცხოვრებაში, რესპოდენტთა უმრავლესობა საქართველოში აღმოჩნდა აქტიური და სოციალიზებული ვიდრე აპათიური. რესპოდენტთა ნახევარზე მეტი (54%) არასოდეს არიან მარტო დღის განმავლობაში; გამოკითხულთა 92% ამბობს, რომ ჰყავთ ახლო მეგობრები, ხოლო მათ შორის 57% ამბობს, რომ კვირაში ერთხელ მაინც ხვდება ერთმანეთს. კარგად განვითარებულ სოციალიზაციის დონეს უკავშირდება ახალ ადამიანებთან შეხვედრის სურვილი; საქართველოს მოქალაქეთა ორ-მესამედი (66%) სიამოვნებას იღებს ახალ ადამიანებთან შეხვედრით და 63% გამოთქვამს ახალი მეგობრების შეძენის სურვილს.

უფრო მეტიც, საქართველოს ბევრ მოქალაქეს მიაჩნია, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობებისა, ისინი მაინც ახერხებენ აკონტროლონ საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობა. რესპოდენტთა 49%-ს მიაჩნია, რომ ისინი ნაწილობრივ ან სრულად აკონტროლებენ საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობას, ხოლო 24%-ს ასე არ მიაჩნია. საქართველოს მოქალაქეების ორ მესამედი (64%) ამბობს, რომ მათ ხელი არ ჩაუქნევიათ წარუმატებლობის გამო, ხოლო 7% სწორედ ასე გრძნობს თავს. ამდენად, წუხილი იმაზე, რომ ფართოდ გავრცელებული საზოგადოებრივი აპათია შესაძლოა იმდენად ღრმად იყოს ფესვგადგმული, რომ შეუძლებელი გახდეს მისი დაძლევა, არ შეესაბამება სინამდვილეს. საქართველოს ბევრი მოქალაქე პირად ცხოვრებაში არის აქტიური და კომუნიკაბელური.

ამასთან ერთად, საქართველოს მოქალაქეებმა აღნიშნეს, რომ ისინი ახორციელებენ მოხალისეობას საკუთარი დროისა და საქმიანობის ხარჯზე, საზოგადოებრივი ან ფორმალიზებული სახით და კიდევ უფრო მეტად საკუთარ სამეზობლოში. ადამიანების 71% ამბობს, რომ საზოგადოებრივი ან საერთო სარგებლობის ადგილები მათ სამეზობლოში მოვლილია, ხოლო ამ ადამიანების ნახევარი (48%) ამბობს, რომ მეზობლები ერთად იკრიბებიან და ასუფთავებენ ამ ადგილებს (30% ამბობს, რომ დასუფთავებას მორიგეობით ახორციელებენ). საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავება უფრო დამახასიათებელია პატარა ქალაქებისა და გარეუბნებისათვის, მაშინ, როდესაც დედაქალაქის მოსახლეობა უფრო მეტად განრიგით ან მორიგეობით ასუფთავებს საერთო მოხმარების საზოგადოებრივ ადგილებს. შესაძლოა ასე ხდება იმიტომ, რომ სხვადასხვა საცხოვრებელი პირობები და სამეზობლო ურთიერთობები განაპირობებენ მოხალისეობის ინდივიდუალურ მოდელებს. სამეზობლო მოწყობა ემყარება ახლო ურთიერთობებს, რამდენადაც საქართველოს მოქალაქეთა 73% ცხოვრობს ერთ სამეზობლოში 16 წელზე მეტი დროის განმავლობაში და მათი ნახევარი ამბობს, რომ იცნობს „ყველა“ ოჯახს საკუთარ სამეზობლოში. უფრო მეტიც, რესპოდენტთა 78% ამბობს, რომ მეზობლებთან ყოველდღიური ურთიერთობა აქვს თუნდაც საუბრის დონეზე.

თუმცა მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეები მზად არიან, მოხალისეობრივ საწყისებზე რეგულარულად დახარჯონ საკუთარი დრო მეგობრების, მეზობლებისა და ოჯახის წევრებისათვის, ისინი შესამჩნევად ფრთხილი არიან, როდესაც საქმე ეხება ადამიანებს, რომელიც მათ შიდა ჯგუფში (წრეში) არ შედიან. რესპოდენტთა 41% ეთანხმება (25% სრულად ეთანხმება) მოსაზრებას, რომ უცხო ადამიანებთან ურთიერთობაში „ძნელია გამოიჩინო სათანადო სიფრთხილე“, ხოლო 24% ამბობს, რომ ზოგადად ადმიანების უმეტესობის ნდობა შეიძლება. ეჭვი განზოგადებული „უცხოს“ მიმართ საკმაოდ ძლიერია, მაგრამ როდესაც საქართველოს მოქალაქეები პირისპირ ხვდებიან ადამიანს, რომელსაც დახმარება ესაჭიროება, მათ კვლავ უბრუნდებათ მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან მიმართებაში არსებული ალტრუიზმი. რესპოდენტთა ორ-მესამედს (65%)

მიუცია ფული ფული მათხოვრისათვის ბოლო ექვსი თვის მანძილზე, ხოლო გამოკითხულთა ნახევარი დახმარებია ქუჩის მეორე მხარეს მდგომ უცხო ადამიანს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს მოქალაქეები გაცილებით ფრთხილი არიან უცხო ადამიანების მიმართ აბსტრაქტული გაგებით, ვიდრე რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსათვის დამახასიათებელია ერთგვარი ალტრუისტული, პირადი მოხალისეობა მიკრო დონეზე, რაც შესაძლოა სამოქალაქო ჩართულობაში გადაიზარდოს, რეალურად, პრაქტიკაში გასაოცრად დაბალია სოციალური ჩართულობის დონე. მოქალაქეთა მხოლოდ 1% არის გაწევრიანებული სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში, კლუბებსა და სპორტულ სექციებში, ხოლო 2% არის პოლიტიკური პარტიის წევრი.

ერთ-ერთი ახსნა რაც ამას შეიძლება მოეძებნოს არის ის, რომ ჯერ კიდევ დაბალია ნდობა ბევრი ინსტიტუტის მიმართ, განსაკუთრებით ორგანიზაციებში, რომლებიც ხშირად იღწვიან მოქალაქეთა ჩართულობისათვის. მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეების უმეტესობაში მაღალი ნდობაა ჯარისა და პოლიციის მიმართ, მხოლოდ 18% ენდობა ან სრულად ენდობა არასამთავრობო ორგანიზაციებს, ხოლო, 23% აბსოლუტურად არ ენდობა მათ. სიტუაცია გაცილებით უარესია პოლიტიკური პარტიების მიმართ, რომლებიც პრინციპში ახლოს უნდა იდგნენ მოქალაქეებთან და აძლევდეს მათ პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. დღეისათვის მხოლოდ 7% ენდობა მათ ნაწილობრივ ან სრულად, ხოლო 53% უნდობლობას უცხადებს.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ არსებულ უნდობლობას ემატება ისიც, რომ რესპოდენტთა 35% ამბობს, რომ ეს ორგანიზაციები ძირითადად მასში დასაქმებული ადამიანების ინტერესებს იცავენ. (22%-ს განსახვავებული მოსაზრება აქვს). მეორე ყველაზე გავრცელებული პასუხი არის ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ეხმარებიან ჩვეულებრივ ხალხს (32%), თუმცა 28% ამ მოსაზარების წინააღმდეგია.

კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული ცინიზმი, რომელიც გაცილებით მაღალია ვიდრე ჩართულობის განცდა: რესპოდენტთა 41% ამბობს, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა. ამ მოსაზრებას სრულად ეთანხმება 17%, ხოლო 37 %-ს მიაჩნია, რომ პოლიტიკა ეს სამოქალაქო ვალია და 9% სრულად უჭერს მხარს ამ მოსაზრებას.

პოლიტიკის „ბინძურ საქმედ“ აღქმა გარკვეულწილად ხსნის იმას, რატომ საუბრობენ ადამიანები იშვიათად პოლიტიკის შესახებ თავიანთ ნათესავებთან, მეგობრებსა და მეზობლებთან. რესპოდენტთა 45% ამბობს, რომ ისინი ხშირად განიხილავენ პირად პრობლემებს ნათესავებთან, ხოლო 5%-ი ამას არასოდეს აკეთებს. გამოკითხულთა ნახევარი (51%), არასოდეს განიხილავს პოლიტიკას განსხვავებით იმ 18%-სა, რომლებიც ამას ხშირად ან ყოველთვის აკეთებენ. ციფრები ერთნაირია, როდესაც საქმე ეხება მეგობრებთან და მეზობლებთან პოლიტიკაზე საუბარს.

თუ გავიაზრებთ უფრო ფართოდ და სიღრმისეულად, საზოგადოებრივი საქმეებისაგან ასეთი იზოლირება შესაძლოა სერიოზულ ბარიერებს უქმნიდეს მოქალაქეთა ჩართულობას და შესაბამისად მოხალისეობას. მონაცემები ცხადყოფენ, რომ საქართველოს მოქალაქეებს არ გააჩნიათ ძლიერი რწმენა, რომ ოჯახის, მეგობრების, სამეზობლოსა და პირადი კავშირების შემდეგ, საზოგადოებრივი საქმიანობა არის დადებითი და ღირსეული საქმე.

აღნიშნულმა, შესაძლოა წამოჭრას კითხვა, თუ ვინ იღებს სარგებლობას მოხალისეობისა და საზოგადოებრივი ალტრუიზმისაგან. მოხალისეობა, მისი ყველაზე ზოგადი არსით, ხელს უწყობს საზოგადოებრივ სიკეთეს და არა ურთიერთსარგებლის მოლოდინს. „თუკი ჯერ კიდევ არსებობს თუნდაც მცირე რწმენა საერთო სამოქალაქო საქმიანობაში, რატომ უნდა დავხარჯოთ

ძალისხმევა?“ განსაკუთრებით მაშინ, თუკი სოციალური ქსელების საშუალებით ადამიანს შეუძლია მხარდაჭერის მოძიება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი საკითხი: მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ თავში ნაჩვენები იქნება, რომ შესაძლებელია მოხალისეების მობილიზება და ბევრი რამის სწავლა საერთაშორისო პრაქტიკიდან, ეს გაკვეთილები მორგებული უნდა იყოს ქართულ რეალობაზე. მიდგომები, რომელიც კარგად მუშაობს მაღალგანვითარებული სამოქალაქო შეგნების მქონე ქვეყნებში, შესაძლოა არ იყოს ეფექტური სხვა ქვეყნებში. ამდენად ფოკუსირება კვლავ უნდა გაკეთდეს კონტროლირებად ექსპერიმენტირებაზე.

ჩართულობა და მეწარმეობა

როგორც ვხედავთ, საქართველოს მოქალაქეები სიამოვნებას იღებენ ოჯახსა და მეგობრებთან არსებული მჭიდრო კავშირებით და მზად არიან დაეხმარონ ერთმანეთს. თუმცა, არსებობს სხვაობა ამ მცირე მასშტაბიან სოციალურ აქტივობასა და ისეთ გაცილებით ფართო ჩართულობას შორის, როგორიცაა მასობრივი ასოციაციები და კლუბები.

როდესაც საქმე გვაქვს ადგილობრივ სამეზობლოებთან, აღნიშნული პრობლემის დაძლევა ხდება საზოგადოებრივი ორგანიზატორების ან „სოციალური მეწარმეების“ მიერ: პირები, რომლებიც ადამიანებს აერთიანებენ პრობლემის კოლექტიურად გადაჭრისათვის. რესპოდენტთა ნახევარი (52%) ამბობს, რომ მათ სამეზობლოში არის პიროვნება, რომელიც ასრულებს ორგანიზატორის როლს, ხოლო 56% ამბობს, რომ ეს პიროვნება არჩეული ან შერჩეული იქნა თავად საზოგადოების მიერ - ამით მიუთითებენ, რომ საქართველოს მოქალაქეებს რა თქმა უნდა სურთ და შეუძლიათ კოლექტიური აქტივობების დაგეგმვა ერთიანი მიზნების მისაღწევად. თბილისში მცხოვრებთ გაცილებით მეტად ჰყავთ ასეთი ორგანიზატორები სამეზობლოში, ვიდრე ეს სოფლის ტიპის დასახლებებშია (61% - 47%), რაც სავარაუდოდ ასახავს იმ ფაქტს, რომ ქალაქმა სცადა პრობლემების გადაჭრის მიზნით ჩამოეყალიბებინა მცხოვრებთა კომიტეტები (ე.წ. ამხანაგობები).[2]

უფრო მეტიც, ასეთი ადამიანების მიმართ დამოკიდებულება პოზიტიურია და მათ არ მიიჩნევენ აბეზარ ადამიანებად, რომლებიც სხვის საქმეში ცხვირს ყოფენ: გამოკითხულთა 81%, რომელსაც ასეთი მეზობელი ჰყავს, ამბობს რომ დადებითად არის განწყობილი მის მიმართ. რა თქმა უნდა, საქართველოს მოქალაქეები მნიშვნელოვნად უჭერენ მხარს იმას, რასაც ზოგადად შეიძლება დავარქვათ „სოციალური მეწარმეები“ ან ‘საზოგადოებრივი ორგანიზატორები“. ისეთი მგრძნობარე საკითხებიც კი, როგორიცაა თანხის შეგროვება რაიმე კომუნალური სამუშაოს ჩასატარებლად, არ იწვევს ადამიანებში რაიმე ეჭვს; გამოკითხულთა 77% ამბობს, რომ პატივს სცემენ ადამიანებს, რომლებიც მათ სამეზობლოში ფულს აგროვებს.

წინა კვლევები მიზნად ისახავდა ასეთი საზოგადოებრივი ორგანიზატორების გარშემო არსებული ეჭვების გამოვლენას. ფოკუს ჯგუფების მასალების გამოყენებით, მაგ. სოციალური კაპიტალის საკითხებზე 2010 წლის კვლევით გამოვლენილი იქნა, რომ ზოგიერთი ორგანიზატორი იდგა ნდობის პრობლემის წინაშე. მათი ქმედებები სხვათა ადამიანებში იწვევდა უნდობლობას. მიმდინარე კვლევის მონაცემები ცხადყოფს, რომ მეწარმეებს შეუძლიათ ნდობის მოპოვება და რომ ასეთ პირებთან მუშაობით შესაძლებელია ჩართულობის გაცილებით ფართო კულტურის დაინერგვა

[2] აღნიშნულ საკითხზე ვრცელი განხილვა იხ. CRRC -ის ვრცელი ანგარიში სოციალური კაპიტალის შესახებ. ბოლო ანგარიში (გვ. 6, 17, 32) [http://www.crrc.ge/store/downloads/projects/CRRC_Social_Capital_Briefing_Paper.pdf]

მთლიანად საზოგადოებაში. ასევე შესაძლებელია, რომ ასეთი სამეზობლო ორგანიზატორები წარმოადგენენ ჯგუფს, რომელთა ჩართვა გაცილებით ფართო მასშტაბით არის შესაძლებელი.

საქართველოში, ცხოვრების ერთ-ერთ სფერო, სადაც შედარებით მაღალია ჩართულობა, არის ეკლესია. საქართველოს მოქალაქეების 61%-ს ბოლო წლის განმავლობაში ერთხელ მაინც შეუწირავს თანხა ეკლესიისათვის (29% ამას თვეში ერთხელ ან უფრო ხშირადაც აკეთებს), ხოლო 21% ჩართული იყო ეკლესიისათვის შესაწირად ტანსაცმელისა და საკვების მოგროვებაში (თუმცა მხოლოდ 5%-მა თქვა, რომ თავად მათ, მათ მეგობარს და ოჯახის წევრს მიუღია დახმარება ეკლესიისაგან). ამასთან ერთად, რესპოდენტთა 20%-ს მონაწილეობა აქვს მიღებული ეკლესიისთვის დახმარებაში (მაგ. დასუფთავება). აღნიშნული ციფრი მეტია იმ პირთა რაოდენობის მაჩვენებელზე, რომლებიც ბოლო ექვსი თვის მანძილზე თეატრს, ბარსა თუ კინოს სტუმრობდნენ (18%) და კიდევ უფრო მეტი მათზე ვინც სპორტულ ღონისძიებებს ესწრებოდნენ (6%).

ეკლესიაში ჩართულობის მაღალი დონე განპირობებულია პატივისცემის ზედმიწევნით მაღალი დონითა და ეკლესიის როლის მნიშვნელობით: საქართველოს მოქალაქეთა ორი მესამედი (65%) ამბობს, რომ რელიგიას მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, ხოლო 4% მიიჩნევს, რომ ეს არც ისე მნიშვნელოვანია ან საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი. უფრო მეტიც, საქართველოს მოქალაქეები საუბრობენ რელიგიურობის მაღალ დონეზე, მათ შორის 37% ამბობს, რომ ძალიან რელიგიურია, დანარჩენი 29% ამბობს, რომ გარკვეულწილად რელიგიურია და მხოლოდ 3% ამბობს, რომ საერთოდ არ არის რელიგიური. ეკლესიაში ჩართულობა ცხადყოფს, რომ მოხალისეობა საკმაოდ წარმატებულია იქ, სადაც ის უკავშირდება ინსტიტუტებს, რომელთა მიმართ მაღალია ხალხის რწმენა და ნდობა. თავად ეს ინსტიტუტები კი ხალხში აყალიბებენ „საზოგადოებრივ გრძნობას“ და ამგვარად ამკვიდრებენ იმ აზრს, რომ შეუძლიათ შეასრულონ იმ ნიმუშის და მაგალითის როლი, საიდანაც მოხალისეებს ბევრი რამის სწავლა შეუძლიათ.

მოხალისეობის ფართოდ გავრცელების ერთ-ერთ მთავარ თავსატეხს წარმოადგენს ის, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას სურს, რომ მოხალისეობაში ჩართული იყოს სახელმწიფო. რესპოდენტთა 51%-ს პოზიტიური დამოკიდებულება აქვს „შაბათობისადმი“, იმ საბჭოთა აქტივობისადმი, სადაც ხდებოდა ადამიანების ორგანიზება, შაბათ დღეს კომუნალური სამუშაოების შესასრულებლად საზოგადოებრივი სარგებელისათვის (32 % ძალიან დადებითი, და მხოლოდ 14% ნეგატიური).

პოლიტიკისადმი მკვეთრად გამოხატული უნდობლობის პირობებში, შესაძლოა კონტრპროდუქტიული იყოს ოფიციალური პირების გადამეტებული ჩართულობა. მიუხედავად ამისა, მოხალისეობისა და შერჩეული პროგრამების მიზანმიმართულმა დახმარებამ შეიძლება წარმოშვას მოსაზრება, რომ მოხალისეობა ჩვეულებრივი „ნორმალური“ გასაკეთებელი საქმეა.

რა თქმა უნდა, ოფიციალურ პირებს შეუძლიათ იმ პროცესების მოდელირება, რომელიც მოქალაქეთა ჩართვას იწვევს და ასეთი მიდგომა საკმაოდ გავრცელებულია: მოსახლეობის 50% ეთანხმება მოსაზრებას, რომ მთავრობა უნდა ითვალისწინებდეს ხალხის მოსაზრებებს, მაშინაც კი, როდესაც ამას დიდი დრო სჭირდება. რაც შეეხება 11 %-ს, მათ მიაჩნიათ, რომ ხელისუფლება სწრაფად უნდა იღებდეს, სახელმწიფოს გაძლიერებაზე მიმართულ გადაწყვეტილებებს.

უფრო ფართო გაგებით, მოქალაქეებში არსებული დადებითი მოსაზრებები „შაბათობა“-სთან დაკავშირებით, შეიძლება განხილული იქნას ორი მნიშვნელოვანი მახასიათებლით: მოქალაქეები აცნობიერებენ იმ სარგებლობას, რაც მოხალისეობამ შეიძლება მოიტანოს. ისინი უპირატესობას ანიჭებენ, მოხდეს მათი ჩართვა მოხალისეობაში, ვიდრე თავად გახდნენ ინიციატორები. აღნიშნული დასკვნა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ უმნიშვნელოვანეს როლს, რომელიც სოციალური მეწარმეობას აქვს - ინდივიდებისა და მცირე ორგანიზაციების მიერ, ადგილებზე შესაძლებლობების აქტიურად შექმნისა და გაფართოების გზით.

კვლევაში წარმოჩენილია „რეალისტური მიდგომები“ მათთვის, ვინც აქტიურად ცდილობს მოქალაქეთა ჩართვას, თუმცა რა თქმა უნდა ისინი კონტექსტუალური სახისაა, ხოლო სამეზობლოს ტრადიციულად მნიშვნელოვანი როლი განაპირობებს იმას, რომ ასეთი სახის ჩართულობა ლოკალურ დონეზე რჩება. მაგ. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას ნაკლებად სჯერა არასამთავრობო ორგანიზაციების, ადამიანები აქტიურად ერთვებიან იმ საკითხებსა და აქტივობებში, რომელსაც ეს ორგანიზაციები წამოწევენ ხოლმე - საქართველოს მოქალაქეთა 60% ხელს მოაწერდა არასამთავრობო ორგანიზაციათა პეტიციას უმუშევრობასთან დაკავშირებით, 52% განიხილავს ამ საკითხს ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან, 19% დაესწრება მიტინგებს და მცირე, თუმცა მნიშნელოვანი 12% მზად არის იაროს კარდაკარ.

შედეგები იგივეა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და ფასების მატებასთან დაკავშირებით ჩატარებულ კამპანიებთან მიმართებაში. აღნიშნული მიუთითებს, რომ საქართველოში არსებობს მცირე, თუმცა მნიშნელოვანი არჩევანი, ჩაერთონ მოხალისეობაში სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში, საკუთარი დროითა და ფულადი საშუალებებით.

სხვა კვლევებიდან მიღებული ინფორმაცია კიდევ უფრო განამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ საქართველოში სულ უფრო იზრდება საზოგადოებრივი მოვალეობის შეგრძნება. 2011 წელს, საქართველოს მოქალაქეთა 77% ამბობდა, რომ მოქალაქისათვის ძალიან მნიშვნელოვანია დაეხმაროს იმ ადამიანებს, ვინც მათზე გაცილებით მძიმე მდგომარეობაშია, ხოლო 17%-ს მიაჩნდა, რომ აღნიშნული მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია. უფრო მეტიც, შეიმჩნევა მატების ტენდენცია: თუკი 2009 წელს მხოლოდ 48% ფიქრობდა, რომ მოქალაქისათვის მოხალისეობა მეტ-ნაკლებად ან ძალიან მნიშვნელოვანი იყო, 2011 წლისათვის ეს ციფრი 57%-მდე გაიზარდა.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ქართველები თავს ბედნიერად გრძნობენ, როდესაც მოხალისეობენ ოჯახის, მეგობრების, სამეზობლოს ფარგლებში. როგორც ჩანს, ასევე განვითარების პროცესშია სამოქალაქო პასუხისმგებლობა. თუმცა, არსებობს განზოგადებული უნდობლობა და ცინიზმი არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დონორებთან, ხელისუფლებასთან და ყველა იმ პირთან მიმართებაში, ვინც ცდილობს მოხალისეობისა და სამოქალაქო ჩართულობის კულტურის ამაღლებას.

მოხალისეობის მართვა

როგორც კვლევა ცხადყოფს, საქართველოში არსებული გარემო საჭიროებს მოხალისეობის პრაქტიკის გულდასმით განვითარებას. აღნიშნული ითხოვს სისტემურ მიდგომას, რათა უზრუნველყოფილი იქნას მოხალისეობის რეალური გავლენა, მისი დადებითი და ადვილად გასავრცელებელი გამოცდილების სახით ჩამოყალიბება.

აშშ-ს ურბანული ინსტიტუტის კვლევით გამოვლენილი იქნა მართვის ის რამოდენიმე წესი, რომელიც უზრუნველყოფს მოხალისეთა აქტიურ ჩართულობას[3]. აღნიშნული წესებია:

1. საქმიანობის ფასილიტაციაში ვალდებულებათა დაზღვევა ან სადაზღვევო დაცვა (უკიდურეს შემთხვევაში რისკების მართვა);
2. მოხალისეებთან მომუშავე ანაზღაურებადი პერსონალის ტრენინგი;
3. სკრინინგის პროცესი შესაფერისი მოხალისეების გამოსავლენად;
4. წერილობითი წესები და სამუშაოთა აღწერილობა მოხალისეთა ჩართვისათვის;
5. რეგულარული სუპერვიზია და კომუნიკაცია მოხალისეებთან;
6. წახალისებაა და აღიარება, მაგ. როგორიცაა მოხალისეთა დაჯილდოების ცერემონიალი;
7. სწავლისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები მოხალისეებისათვის;
8. კეთილგანწყობილი კულტურის ჩამოყალიბება და რესურსების გამოყოფა მოხალისეობრივ საქმიანობებზე.

აღნიშნული წესები არ არის სავალდებულო აშშ-ში არსებული იმ ათასობით საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც მოხალისეებს იყენებენ მუშაობაში (ხუთიდან ოთხი საქველმოქმედო ორგანიზაცია იყენებს მოხალისეებს)[4]. თუმცა, ასეთი წესების არსებობა მათ ეხმარება ადგილებზე მოხალისეების შენარჩუნებაში. აშშ-ში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მოხალისეთა 40%, დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ, მოხალისეობრივ საქმიანობას წყვეტდა სწორედ ცუდი მენეჯმენტის გამო[5]. პრობლემები მდგომარეობდა იმაში, რომ მოხალისეთა უმეტესობა მიიჩნევდა, რომ ორგანიზაცია სათანადოდ არ იყენებდა მათ ნიჭს, დროს ან არასაკმარისად განუმარტავდა იმ დავალებებს რომელთა შესრულებაშიც ისინი უნდა ჩართულიყვნენ.

აღნიშნული ხაზს უსვამს ზემოთ აღნიშნულ ურთიერთობათა დეფიციტის ხასიათს და იმის საჭიროებას, რომ უზრუნველყოფილი იქნას დადებითი გამოცდილება და მოხდეს ილუსტრირება, რომ მოხალისეებს შეუძლიათ რეალური ცვლილებების მოხდენა.

იმ ორგანიზაციებს, სადაც კარგად ახერხებენ პერსონალის წევრების, მათი დროისა და ნიჭიერების ჯეროვნად მართვას, შემდეგომში გაუადვილდებათ ნაბიჯის წინ გადადგმა მოხალისეობის ფართო ჩართულობის და გაფართოების მიმართულებით მათ შორის უცხოეთიდან. და პირიქით, იქ, სადაც ძირითადი გუნდის მართვა დაბალ დონეზეა, თითქმის შეუძლებელია მოხალისეთა ჩართვა და მათი შენარჩუნება. ამდენად, ორგანიზაციები ძალიან რეალისტური უნდა იყვნენ იმასთან მიმართებაში, თუ რისი მიღწევა სურთ მათ და ხშირ შემთხვევაში ჯერ უნდა მოაგვარონ შიდა პრაქტიკის კონსოლიდირება და მხოლოდ ამის შემდეგ გადაერთონ უფრო სისტემურად გარე საქმიანობაზე.

საჭიროა კარგი მენეჯმენტი, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ მოხალისეების მობილიზება მოითხოვს მეთოდოლოგიური მიდგომების არსებობასა და გულმოდგინებას. რამდენადაც გამოკითხულ რესპოდენტთა მხოლოდ 12% ამბობს, რომ პრინციპში მზად არის დაეხმაროს სხვას, ეს ნიშნავს რომ მოხალისეების შეგროვების კამპანიისას ორგანიზაცია დიდი ალბათობით ცხრაჯერ

[3] Jeffrey L. Brudney (1999) "მოხალისეთა ეფექტური გამოყენება: საუკეთესო პრაქტიკა საზოგადოებრივი სექტორისათვის." კანონი და თანამედროვე პრობლემები.

[4] Mark Hager, Jeffrey Brudney (2004) მოხალისეობის მართვის წესები და მოხალისეთა შენარჩუნება, ურბანული ინსტიტუტი, http://www.urban.org/url.cfm?ID=411005 (ინფორმაცია მოძიებულია April 2012)

[5] UPS ფონდი (1998) *მოხალისეთა მართვა: ანგარიში United Parcel Service-დან.* იხ. http://www.community.ups.com.

მიიღებს უარს მოხალისეობაზე სანამ ის შეძლებს დაითანხმოს ვინმე მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვაზე, რაც კიდევ დამატებით მუშაობას საჭიროებს კონკრეტულ შეთანხმებამდე მისასვლელად.

მოზიდული მოხალისეების შენარჩუნება შესაძლებელია მათთვის კარგი გამოცდილების შექმნის გზით. ეს ასევე მოითხოვს კარგ მენეჯმენტს: მოხალისეების წინაშე საკმარისი დოზით უნდა დადგეს შესაბამისი დავალებები, რათა მათ გაუჩნდნეს მიღწევებთან ასოცირების ხანგრძლივი შეგრძნება, თუმცა ეს არ უნდა იყოს გადამეტებული. მიდგომა უნდა იყოს გაცილებით ფართო - მოხალისე არ უნდა იქნას გამოყენებული ინსტრუმენტად რაღაც მიზნის მისაღწევად, არამედ მან თავი უნდა იგრძნოს ამ მიზნის შემადგენელ ნაწილად. მოხალისეობა მოითხოვს დახვეწილ და გულისხმიერ ლიდერობას.

რთული გარემოებების გათვალისწინებით, საუკეთესო ნაბიჯი, რაც ორგანიზაციებს შეუძლიათ გადადგან მოხალისეთა ჩართვისათვის არის ის, რომ დაიწყონ თვითშეფასება და ანალიზი იმ საქმიანობაში რას ისინი უკვე აკეთებენ კარგად და იმ საქმიანობებში სადაც მათ გაუმჯობესება ესაჭიროებათ, ხოლო შემდეგ დროის ერთ მონაკვეთში შეცვალონ ერთი რამ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყონ და გააფართოონ მოხალისეთა ჩართულობა.

ხელისუფლება: ნაკლები შეიძლება იყოს მეტი

ხელისუფლების, პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო სტრუქტურების წინაშე არსებული გამოწვევები განსხვავებულია. როგორც ვნახეთ, არსებობს მყარად ფესვგადგმული ცინიზმი პოლიტიკის, მიმართ, ისევე როგორც გაბატონებულია რწმენა, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა და ზოგადად არ არის სასიამოვნო სასაუბრო თემა. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არსებობს სფეროები, სადაც პირდაპირი ქმედება შეიძლება ეფექტური აღმოჩნდეს. მაგ. „შაბათობა“ ჯერ კიდევ რჩება პოპულარულ იდეად, მიუხედავად იმისა, რომ ის „საბჭოთა მემკვიდრეობას“ წარმოადგენს. მაშინ, როდესაც პროგრამის სრული გადატვირთვა უკან დახეული ნაბიჯი იქნებოდა, მცირემასშტაბიანი სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული აქტივობები გაცილებით წარმატებული იქნება. მაგალითად, ადგილობრივი ხელისუფლება,. შეიძლება ჩაერთოს ხეების დარგვაში, ქალაქის მოწყობაში ან სპორტულ შეჯიბრებებში, რათა პოპულარიზაცია გაუწიოს ჩართულობას საზოგადოებრივ, სათემო დონეზე.

უფრო მეტიც, სახელმწიფო დონეზე,, მთავრობას შეუძლია წარმოადგინოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო რომელიც წაახალისებს მოხალისეობასა და სამოქალაქო მონაწილეობას. მკაფიოდ განსაზღვრული კანონით მოხალისეობაზე, მოხალისეების სტატუსის მკაფიოდ განსაზღვრისა და მოხალისეთა როლის გააქტიურების გზების მოძიებით, მთავრობას შეუძლია უზრუნველყოს ინსტიტუციონალური სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელის საფუძველზეც მოხდება ჩართულობის გაძლიერება.

დონორები: მიეცით მოხალისეებს ლიდერობის მაგალითები

იმისათვის, რომ დონორებმა ხელი შეუწყონ მოხალისეობისა და მონაწილეობის წარმატებით განხორციელებას, ეფექტური სტრატეგია შეიძლება იყოს ნოუ-ჰაუს გაზიარება და უნარ-ჩვევების გაძლიერება, წარმატებული მოხალისეების დახმარებითა და მათი გამოცდილების გაზიარებით.

ერთის მხრივ, წარმატებულ მოხალისეებსა და სოციალურ მეწარმეებს შორის და მეორეს მხრივ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივ საზოგადოებას შორის არსებულ კონტაქტების ხლშეწყობით შესაძლებელია საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და მათი საქმიანობის წარმოჩენა, ასევე იმის ჩვენება თუ რომელი პრაქტიკა მუშაობს და რომელი არა. დონორებს ასევე შეუძლიათ საკუთარი წვლილის შეტანა ისეთი საქმიანობის განხორციელებით, როგორიცაა მცირე ზომის სახელმძღვანელოების მომზადება, ორგანიზაციული მასალების თარგმნა და ადაპტირება, გამოცდილების კონკრეტული მაგალითების გაზიარება. ჩართულობის სტრატეგიის საკითხებზე ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზებით შესაძლებელია ცინიზმისა და უნდობლობის დაძლევა.

ყურადღების უპირველეს საგნად რა თქმა უნდა რჩება მცირე ორგანიზაციები ლიდერობის საკითხი, რომელიც წარმართავს პროცესს და უზრუნველყოფს მოხალისეობის შესახებ იმ პოზიტიური გამოცდილების ჩამოყალიბებას, რომელიც კონკრეტულ შედეგებს აღწევს და თვალსაჩინოდ შეუძლია მეტი მოხალისეების მოზიდვა.

თემატური სფეროები

მოხალისეობასთან დაკავშირებით წარმოშობილი თემატური საკითხები, რომელიც მხოლოდ სავარაუდო ხასიათს ატარებს:

- მოხალისეები უკვე აქტიურად მუშაობენ ობლებთან და ახალგაზრდების სხვა მოწყვლად ჯგუფებთან, რასაც მცირე მასშტაბი, თუმცა მნიშვნელოვანი ხასიათი აქვს. აქტივობების უმეტესობა არის შემთხვევითი და თითქმის სპონტანური, რაც ხშირად გამოიხატება მეგობართა ერთობლივი ვიზიტებით ობოლთა თავშესაფრებში ან თეატრში გასვლითი ღონისძიებების ორგანიზებაში. ასეთი ქცევა შეიძლება ფორმალიზებული იქნეს უკეთ ჩამოყალიბებული პროგრამის სახით, რომელიც მიმართული იქნება კეთილდღეობასა და მენტორობაზე და რომელიც სარგებელს მოუტანს ბავშვებს და ასევე გახდება მაგალითი სისტემატიზებული მოხალისეობის ჩამოყალიბებისათვის.

- მოხალისეობას იმ სფეროებში, რომელიც ტრადიციულ ხასიათს ატარებს დასავლეთის ქვეყნებში, (ვიზიტები მოხუცებულთა სახლებში, მუშაობა ალკოჰოლ და ნარკო დამოკიდებულ პირებთან) საქართველოში ნაწილობრივ ახორციელებს ქართული ეკლესია. სხვა სფეროებში აქტიურია ქართული ოჯახების როლი. აქ არ არის საჭირო ბევრი განსჯა იმაზე, თუ რისი გაკეთებაა საჭირო.

- წარმატება მეტად თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც შესაძლებელია რეალური ცვლილების და შედეგის დემონსტრირება. თუმცა, მოხალისეობა არ უნდა ახდენდეს გავლენა იმ სფეროებზე, რომელიც სხვა შემთხვევაში შესაძლოა ანაზღაურებად სამუშაოს წარმოადგენდეს. ასევე მოხალისეობა არ უნდა იყოს გადამეტებულად ფოკუსირებული დასუფთავებაზე ან საქმიანობაზე, რომელიც შემდგომში მუდმივ მომსახურებას მოითხოვს. მოხალისეობა შეიძლება ხორციელდებოდეს ისეთი მთელი რიგი წარმატებული შემთხვევების მსგავსად, მათ შორის ისეთების, როგორიც არის ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ახალგაზრდული ბანკების პროგრამა.